

ჭკ

## ხელშეკრულება N 124

(მომსახურების შესყიდვა)

ქალაქი ფოთი

21 ოქტომბერი 2016 წელი

### 1. ხელშეკრულების მხარეები და მომსახურების შესყიდვის სამართლებრივი საფუძვლები

1.1. ერთის მხრივ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ირაკლი კაკულიას სახით და მეორეს მხრივ, ნაზი ჯორბენაძე (ლერმონტოვის ქუჩა N30, კერძო სახლი მესაკუთრე ნაზი ჯორბენაძე, პ/ნ 42001016837, საკადასტრო კოდი 04.02.06.237) შემდგომში „მიმწოდებელი“.

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N28/34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 ივნისის N10/21 დადგენილებით გათვალისწინებულ იქნა საარჩევნო ღონისძიებებისათვის, კერძოდ: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტეროტორიაზე 2016 წლის 30 ოქტომბრის (მეორე ტური) საქართველოს პარლამენტის არჩევნების შეუფერხებლად ჩატარების მიზნით ფართის დასაქირავებლად (მათ შორის კომუნალური ხარჯები) შესაბამისი ფინანსური რესურსი.

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ პირველი მუხლის 3<sup>1</sup> პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება, უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიღებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ პირველი მუხლის 3<sup>1</sup> პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 11 აგვისტოს N673 ბრძანებისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 ივნისის N10/21 დადგენილების საფუძველზე, მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების გათვალისწინებით, დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“).

### 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანი - არასაცხოვრებელი უძრავი ქონების ქირავნობის უფლებით გადაცემა, კერძოდ: წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად გამქირავებელი, ქალაქ ფოთში, ლერმონტოვის ქუჩა N30-ში მდებარე ფართს, დროებით სარგებლობაში გადასცემს დამქირავებელს შესაბამისი ანაზღაურების საფუძველზე, 2016 წლის 21 ოქტომბრიდან 2016 წლის 2 ნოემბრის ჩათვლით.

2.2 ქონების დაცვაზე მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება უბანში განთავსებულ შესაბამის, საარჩევნო ადმინისტრაციას.

2.2 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა.

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი - კერძო საკუთრების იჯარა ან ლიზინგი  
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი - 70220000 - არასაცხოვრებელი უძრავი ქონების იჯარა ან ლიზინგი

### 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 350,00 (სამასორმოცდაათი) ლარს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა ჩათვლით (მათ შორის კომუნალური ხარჯები).

### 4. ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

4.1 ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.

4.3 ხელშეკრულების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).

4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში

### 5. მხარეთა უფლება მოვალეობები

5.1 ამ ხელშეკრულების დადებით მხარეები ადასტურებენ თავიანთ ნებას, გამომდინარეს მათ მიერ დამოუკიდებლად, ხელი მოაწერონ წინამდებარე ხელშეკრულებას, გაიზიარონ ამ ხელშეკრულების პირობები და შეასრულონ ამავე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

5.2 გამჭირავებელი (მიმწოდებელი) ვალდებულია:

- გადასცეს დამჭირავებელს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ფართი, მხარეთა შორის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადებში.

5.3 დამჭირავებელს (შემსყიდველი) უფლება აქვს:

- მოითხოვოს ფართის მისთვის გადაცემა მხარეთა მიერ შეთანხმებულ ვადაში.

- გამჭირავებლის მიერ თავისი ვალდებულებების დარღვევისა და კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში წერილობით მოითხოვოს გამჭირავებლისაგან ხელშეკრულების შეწყვეტა.

5.4 დამჭირავებელი (შემსყიდველი) ვალდებულია:

- მხარეთა მიერ შეთანხმებულ ვადებში მოახდინოს ანგარიშსწორება.

- დაუბრუნოს გამჭირავებელს ფართი მიღება - ჩაბარების აქტის საფუძველზე, ხელმოწერიდან არაუმეტეს სამ დღეში.

### 6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვეს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

6.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1 მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არჯეროვანი შესრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 9. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით.

## 10. დასკვნითი დებულებები

10.1 ქირავნობასთან დაკავშირებული ის ურთიერთობები, რომელიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

## 12. მხარეთა იურიდიული მიამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი/დამქირავებელი“

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი  
ს/კ № 215138143

მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №-12

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი  
ირაკლი კაკულია



„მიმწოდებელი/გამქირავებელი“

ნაზი ჯორბენაძე

მფო 220101424

სს „ლიბერთიზანკი“

ბ/კ LBRTGE22

GE 28LB0711106618446540

ნაზი ჯორბენაძე

ნაზი ჯორბენაძე



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია  
 №70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისია

№ 137

„19” 10 2016 წ.

(მისამართი: 26 მაისის №7 ტელ. 0 493 22 40 22)

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს  
 ბატონ ირაკლი კაკულიას

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კედექსი“ 58-ე მუხლის 1 და 1<sup>1</sup> პუნქტების საფუძველზე N70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისია მოგმართავთ თხოვნით.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის ჩატარებისათვის უზრუნველყოთ თქვენს საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში სათანადო ფართის გამოყოფა ან/და შესაბამისი ფართის დაქირავება 2016 წლის 20 ოქტომბრიდან 2016 წლის 2 ნოემბრის ჩათვლით საარჩევნო ღონისძიებების შეუფერხებლად ჩატარებისათვის, სახელმწიფო ორგანოების და თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული სათანადო ფართის მოუძიებლობის შემთხვევაში.

№70 ფოთის საოლქო საარჩევნო  
 კომისიის მდივანი:

/გიორგი ჯოლია/

26 მაისის №7, ფოთი, საქართველო  
 e\_mail: 70\_photi@cec.gov.ge

	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
	მერიის მეროსული
	დოკუმენტის № <u>7/08/2456</u>
	„ <u>19</u> ” <u>10</u> 20 <u>16</u> წ.